პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 113
(6168)

11

1978 წ.
ივნისი,
კვირა,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ТБИЛИСИ
МЕЖДУНАРОДНЫЕ ЛЕГКОАТЛЕТИЧЕСКИЕ СОРЕВНОВАНИЯ
1978
XIV
НА ПРИЗЫ ГАЗЕТЫ
ПРАВДА
თბილისი, 16-17 ივნისი.

მზადება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა

დიდი სპორტული ასპარეზობის წინ

გაზეთ „პრავდის" პრიზებზე მძლეოსანთა XIV საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც თბილისში 16-17 ივნისს გაიმართება, 40-მდე ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებს შეკრებს. მათი ღირსეულად დახვედრისთვის კარგა ხანია გაცხოველებული მზადება მიმდინარეობს: სახეს იცვლის ასპარეზობის არენა — ვ. ი. ლენინის სახ. თბილისის „დინამოს" სტადიონის მძლეოსნური კომპლექსი, ეწყობა სათადარიგო მოედანი და სარბენი ბილიკები; თბილისის სტარტების მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებისთვის ემზადება მთავარ მსაჯთა კოლეგია, საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა მომსახურებისთვის — პრეს-ცენტრი; ემზადებიან მთელი რიგი სამინისტროებისა თუ უწყებების განყოფილებები, სხვადასხვა სამსახურები, პროფკავშირული, კომკავშირული თუ სპორტული ორგანიზაციები.

სამზადისი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა — მთავარი პრობლემები შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს დედაქალაქი ჩვეული სტუმართმოყვარეობით ფართოდ გაუღებს კარს „სპორტის დედოფლის" მსოფლიო ელიტის წარმომადგენლებს.

რა არის კიდევ საჭირო იმისთვის, რომ ეს ღონისძიება ჩავატაროთ მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე, რომ სპორტსმენებს, ჟურნალისტებს, მსაჯებს, სპორტის სპეციალისტებს, ყველა სტუმარს შევუქმნათ საუკეთესო პირობები ასპარეზობისთვის, შრომისა და დასვენებისთვის — სწორედ ამ საკითხებზე იყო მსჯელობა გაზეთ „პრავდის" პრიზებზე მძლეოსანთა XIV საერთაშორისო შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე, რომელიც გუშინ თბილისში გაიმართა.

სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ს. ჯაიანი**, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონის დირექტორი **ბ. პაიჭაძე**, საკავშირო სპორტკომიტეტის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ი. მუდრიკი**, შეჯიბრების მთავარი მსაჯი **ი. ცელებრიცკი** და სხვ.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ჩერქეზიამ**.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჟ. შარტავა**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **გ. ბედინეიშვილი**, სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ზ. ლობჟანიძე**, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი **ვ. კობახიძე**, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა**, აგრეთვე, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

„დინამოს" ფერისცვალება

გუშინ ჩვენი დედაქალაქის მშვენება „დინამოს" სტადიონის ფერისცვალება დამთავრდა — სარბენ ბილიკებზე დაგებული წითელი სპორტანის მანტიით კიდევ უფრო გალამაზდა. ახლა ბაზის ნახვა ნამდვილად ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს სპორტის მოყვარულებს. ზუსტად დახაზული ბილიკები უკვე საბრძოლოდ, რეკორდების დასამყარებლად უხმობს მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერებს, სტაიერებს, მხტომელებს, მძლეოსნობის ყველა სახეობის წარმომადგენლებს, რომელთა შორის უძლიერესნი 16-17 ივნისს აქ მოსულ ათეულ ათასობით მაყურებელს უჩვენებენ თავიანთ ოსტატობასა და სიჩაუქეს.

საკავშირო სპორტმშენის მოსკოველ სპეციალისტებს „დინამოს" სტადიონის ლამაზად მოხატულ წითელ მანტიაში გამოწყობაში აქტიურად დაეხმარნენ დედაქალაქის რიგი საწარმოების და ამ სტადიონის მშრომელები. ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის მასწავლებელმა ვ. ფოფხაძემ და „ლოკომოტივის" სტადიონის დირექტორის მოადგილემ ო. მაისურაძემ კი სხვებთან ერთად მოკლე დროში შეძლეს ყველა ბილიკისა და სექტორის გაზომვა და დახაზვა.

„პრავდის" პრიზებზე მძლეოსნობაში XIV საერთაშორისო შეჯიბრების ორგანიზატორებმა თბილისის „დინამოს" განახლებულ სტადიონზე სასპარეზოდ საზღვარგარეთის თითქმის ოთხი ათეული ქვეყნის 200-მდე საუკეთესო სპორტსმენი — ოლიმპიადების პრიზიორები, მსოფლიო და ევროპის რეკორდსმენები და გაცილებით მეტი საბჭოთა ათლეტი მოიწვიეს.

სულ ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქში 800-მდე „სპორტის დედოფლის" რაინდს, ასობით ჟურნალისტსა და მსაჯს მოელიან, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, ისეთებიც იქნებიან, ვინც მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაშიც გამოცდის ძალას.

თბილისი, რომელიც რამდენიმე დღით მსოფლიო მძლეოსნობის დედაქალაქად გადაიქცევა, მზადაა ძვირფასი სტუმრების მისაღებად. აქ გატარებული დღეები ყველა კონტინენტის, ყველა ქვეყნის სპორტსმენთა შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების დაუვიწყარი დღეები იქნება. რა თქმა უნდა, ასპარეზობაში გამარჯვებისთვის „პრავდის" პრიზებს ყველა ვერ მოიპოვებს, რადგან შეჯიბრება წაგებულთა გარეშე არ არსებობს, მაგრამ გულდაწყვეტილი არავინ დარჩება — ამაზე უკვე იზრუნეს ჩვენი დედაქალაქის წარმოება-დაწესებულებებმა, ორგანიზაციებმა...

გია აბაშიძე სსრ კავშირის ჩემპიონია

ფარიკაობა

ლვოვი, 9 ივნისი. აქ მიმდინარე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა „ბურევესტნიკის" რაპირისტ ვაჟთა გუნდმა. სტუდენტმა მოფარიკავეებმა ფინალურ შეხვედრაში ანგარიშით 9:7 დაამარცხეს საბჭოთა არმიის ნაკრები და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ.

ამ დამარცხების შემდეგ არმიელები, რომლებსაც ჩემპიონატის პირად შეჯიბრებაში გამარჯვებული ვლადიმერ სმირნოვი მეთაურობდა, მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ, მეორე საპრიზო ადგილზე კი „დინამოს" სპორტსმენები გავიდნენ.

ჩემპიონი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ვასილ სტანკოვიჩი (ლვოვი), სერგეი კოსენკო (კიევი), ბორის ფომენკო (მოსკოვი), სერგეი ისაკოვი (ალმა-ათა) და გია აბაშიძე (თბილისი).

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე დაიწყო მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებები გაზეთ „იზვესტიას" პრიზებზე. თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული პირველი ეტაპის სტარტზე სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები გამოვიდნენ. შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ არმიელი მძლეოსნები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ემზადებიან „პრავდის" პრიზების საერთაშორისო გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად.

* * *

სურათებზე: სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული განთიადელი გ. გუნჩინი ასპარეზობისას; 800 მეტრზე მორბენალი ვაჟები დისტანციაზე.

ო. გელაშვილის ფოტოები.

ხელბურთი

სტარტს იღებს ოთხეული

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების მესამე ეტაპი („ბ" ქვეჯგუფი) ხელბურთში.

სამდღიან შეჯიბრებაში გამოვლენ **მინსკის ასკ, გროდნოს გუნდი, ცსკა და თბილისის „ბურევესტნიკი"**. პირველ დღეს ერთმანეთს ხვდებიან ცსკა — გროდნო (15 საათზე) და ასკ — „ბურევესტნიკი" (16 საათსა და 30 წუთზე).

თბილისის ტურში ორი გამარჯვებული დანარჩენ ქვეჯგუფებში ორ-ორ გამარჯვებულთან ერთად შეადგენს ორ ჯგუფს (ოთხ-ოთხი გუნდი), — გათამაშების მეოთხე ეტაპს.

დასკვნით, ფინალურ ასპარეზობაში, რომელმაც თასის მფლობელი უნდა გამოავლინოს, ერთმანეთს შეხვდება ჯგუფებში ორ-ორი გამარჯვებული — ოთხი საუკეთესო.

ყველა პრეტენდენტი ცნობილია

რაგბისტთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი ახალი ფორმულით ტარდება: უმაღლესი ლიგის გუნდების პირველი წრის დამთავრების შემდეგ 6 უძლიერესი უშუალოდ მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებს, ხოლო დანარჩენი ოთხი პირველი ლიგის ორ ზონაში გამოვლენილ ოთხ უძლიერეს კოლექტივთან ერთად VII-XIV ადგილებს გაითამაშებენ. ისინი ტურნირს ორ წრედ (მიმოსვლით) აგრძელებენ და ოთხი საუკეთესო გუნდი გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს.

იმასაც ვწერდით, რომ ხარკოვში, სადაც პირველი ლიგის გუნდების „ბ" ჯგუფის ტურნირი ჩატარდა, ყველას აჯობეს ელგავას რაფ-მა და ქუთაისის „სახლმშენმა".

გაირკვა „ა" ჯგუფში უძლიერესთა ვინაობაც. ჩიმკენტში გადამწყვეტ ბრძოლებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს კრასნოიარსკისა და ალმა-ათის პოლიტექნიკური ინსტიტუტების კოლექტივებმა.

ქუთაისელებმა ხარკოვში დაამარცხეს მასპინძელთა გუნდი „სპარტაკი" — 15:3. შემდეგ მოუგეს კუიბიშევის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს — 31:6, ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაგბისტებს — 12:9, ერევნის „სპარტაკს" — 20:6 და მხოლოდ რაფ-თან დამარცხდნენ — 12:16. მათ, ისე, როგორც რაფ-მა რვა ქულა მოაგროვეს.

რაგბი

ამ ჯგუფის გათამაშების ცხრილი ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რაფ-ი	5	4	0	1	87—62	8
„სახლმშენი"	5	4	0	1	90—40	8
„უნივერსიტ".	5	3	0	2	130—44	6
სსი. კუიბ.	5	2	0	3	59—113	4
„სპარტ". ხარკ.	5	1	1	3	28—61	3
„სპარტ." ერევ.	5	0	1	4	38—112	1

წაუგებლად

ვიტყობინებოდით, რომ მოსკოვის მეორე საათების ქარხნის გუნდი „სლავა" საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის იტალიაში იმყოფებოდა. ქალაქ რომში გამართულ ასპარეზობაზე ჩვენი ქვეყნის ვერცხლის პრიზიორმა ადგილობრივ კლუბს მოუგო ანგარიშით 87:3, ხოლო შემდეგ დაამარცხა ცნობილი ირლანდიური „კლონტარფი" (დუბლინი) — 16:12. აღსანიშნავია, რომ ირლანდიელთა შემადგენლობაში ამ ქვეყნის ნაკრების ექვსი წევრი თამაშობდა. „სლავამ" მოიპოვა მთავარი პრიზი.

შემდეგ მოსკოველებმა ქალაქ პარმში იტალიის ჩემპიონატის ლიდერთან, ადგილობრივ ნაკრებთან ჩაატარა ამხანაგური შეხვედრა და კვლავ გაიმარჯვა — 27:17.

დღეს „სლავა" ჩაებმება საკავშირო ჩემპიონატში (მოსკოვის „ლოკომოტივს" ეთამაშება), ხოლო 15 ივნისს თბილისში ადგილობრივი „ლოკომოტივის" წინააღმდეგ ითამაშებს.

თანამედროვე ხუთჭიდი

კიევში თანამედროვე ხუთჭიდელთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე მესამე სახეობაში — სროლაში საქართველოს „დინამო" გუნდურ ჩათვლაში IV ადგილზე გავიდა, ხოლო მისი წარმომადგენელი ვ. გომილკო, აგრეთვე, მეოთხე იყო პირად ჩათვლაში. სამი სახეობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ კიევის სამხედრო ოლქის ხუთჭიდელები — 8648 ქულა, II ადგილზე გავიდნენ საქართველოს დინამოელები — 8568, III — ყაზახეთის „დინამო" — 8552. პირად ჩათვლაში დაწინაურდა მოსკოვის სამხედრო ოლქის წარმომადგენელი პ. გორლოვი — 3110 ქულა. II ადგილზეა ა. ვიდუტა (უკრაინა, „დინამო") — 2981, III — პ. ლედნიოვი (კარპატეთის სამხედრო ოლქი) — 2973. საქართველოს დინამოელი ვ. გომილკო VI ადგილზეა (2948).

ხუთჭიდის მეოთხე სახეობაში — ცურვაში გუნდური გამარჯვება იზეიმეს მოსკოვის დინამოელებმა — 3620 ქულა. ყველაზე სწრაფად 300-მეტრიანი დისტანცია დაფარა ამავე გუნდის წარმომადგენელმა ვ. გალავტინმა — 3.18,4 (1288 ქულა). უკანასკნელი სახეობის წინ დაწინაურდნენ კიევის სამხედრო ოლქის ხუთჭიდელები — 12096 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვისა და საქართველოს დინამოელები. პირად ჩათვლაში კვლავ წინაა პ. გორლოვი — 4134 ქულა.

ეროვნული

პრიზი, რომელსაც ყველა ერთად უნდა დავეუფლოთ

დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე იწყება უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მე-11 ტური. გაიმართება 7 მატჩი, მათ შორის თბილისშიც: „დინამო" — „ზენიტი".

მორიგ ტურს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ტრადიციისამებრ გულშემატკივართა რამდენიმე წერილით ვხვდებით. გასულ კვირას რედაქციაში კვლავ შემოვიდა ფეხბურთის მოყვარულთა მრავალი წერილი. გვწერენ ადამიანები, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ახალი პრიზის მომავალი ადგილმდებარეობის, მისი პირველი „ზამთრობის" ამბავი.

მაშ ასე, ჩვენს ტრიბუნას დღეს ფეხბურთის 8 გულშემატკივარს ვუთმობთ. ვფიქრობთ, რომ მათ ოთხ კორესპონდენციაში მკითხველი ბევრ საინტერესო მოსაზრებას, ასევე ვთქვათ, რაციონალურ მარცვალს იპოვნის. იქნებ დღეს დასტამბულმა სტრიქონებმა ახალი სურვილები და აზრები აღგიძრათ, ჩვენო მკითხველებო?!. ჩვენ კვლავ სიამოვნებით გამოვიტანდით ყოველივე საინტერესოს „ლელოს" ფურცლებზე

●

გაგრძელება კი არ ჩანს!

ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ლელოში" გამოქვეყნებულმა წერილმა „სტადიონი მისადგომებთან იწყება"..., სადაც მხცოვანი ვეტერანი მოგვიწოდებს ახალი პრიზისათვის ყველამ ხელიხელჩაკიდებულმა ვიბრძოლოთ.

გვწამს, რომ ამ პრიზს თბილისელები მოვიპოვებთ — საფუძველი საამისოდ მართლაც არსებობს. თუნდაც ის რად ღირს, რომ ზოგიერთ სხვა სტადიონთან შედარებით, ჩვენს სტადიონზე თითქმის ვერ ნახავთ მთვრალსა თუ ნასვამს, ან ჯიბეში ბოთლჩაჩრილ მაყურებელს.

დიახ, ჩვენი მაყურებელი სტადიონზე მხოლოდ თავის შესაქცევად როდი მიდის, არამედ სურს მთლიანად აღიქვას და განიცადოს სპორტის ჭეშმარიტად დიდებული სანახაობა. სამწუხაროდ, 70-ათასიან მაყურებელთა შორის, ზოგჯერ გვხვდებიან მოხულიგნო ელემენტებიც. მათ ემოციებს საჭიროა რაიმე სწორი მიმართულება მივცეთ.

ზემოაღნიშნულ წერილში პატივცემული გ. ჩხიკვაძე წერდა — „ეგებ საჭიროა გულშემატკივრებთან მუშაობის რაღაც შტაბის მაგვარის შექმნა. ერთი სიტყვით, მუშაობის შესაფერისი ფორმები უნდა მოვიფიქროთ..." საგულისხმოა, რომ ამგვარ წამოწყებას ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ჰქონდა ჩვენში ადგილი. 1976 წლის ზაფხულის ერთ დღეს თბილისში „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა გულშემატკივართა შეხვედრა „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდთან. შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა. შეგვპირდნენ, რომ მალე მოწვეული იქნებოდა „სპორტის მოყვარულთა საზოგადოების" დამფუძნებელი კრება, განზრახული იყო სპეციალური სამკერდე ნიშნებისა და ვიმპელების შექმნა. მას შემდეგ კარგა დრო გავიდა, საქმე კი არ იძვრის ადგილიდან. გული გვწყდება, ნუთუ სხვა ქვეყნების სტადიონებზე გულშემატკივრები ჩვენზე უკეთ უნდა გამოხატავდნენ ემოციებს, ნუთუ ჩვენზე ძალიან უყვართ ფეხბურთი და თავიანთი გუნდი?!

ვ. არევაძე,
ჯ. დანელია,
ტ. ბაზმანი,
თ. მიქუტიშვილი.

თბილისი.

მხარი დავუჭიროთ ტრიბუნებიდან

სიამოვნებით წავიკითხე გ. ჩხიკვაძის წერილი „სტადიონი მისადგომებთან იწყება". ჭეშმარიტად ფეხბურთის ვეტერანის წერილია, რადგან მასში გამოთქმული საჭირბოროტო საკითხები თითქმის მაქსიმალურად ამომწურავია.

ჩემს თავს ნებას ვაძლევ ახალგაზრდობის, კომკავშირელების სახელით იმედი გამოვთქვა, რომ გ. ჩხიკვაძის ინიციატივას კლუბისათვის სპეციალური სამკერდე ნიშნები, ვიმპელები, ალმები და საჩრდილობელი ქუდები გამოუშვას თბილისის „დინამოს" სპორტნაწარმის ფაბრიკამ, ყურად იღებს ზემოხსენებული ფაბრიკის დირექცია და ფეხბურთის გულშემატკივრებს გაგვახარებს თანამედროვე, ლამაზი და ხარისხიანი ნაწარმით.

ხომ არ აჯობებდა უცხოური სტადიონების კიდევ ერთი გამოცდილება დაგვენერგა ჩვენთან? მთელი მატჩის მანძილზე ყოველმა სექტორმა ორ-ორი წუთის განმავლობაში იძახოს „დინამო", „დინამო..." ე. წ. „დირიჟორების" ხელმძღვანელობით, რათა ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელები გრძნობდნენ „საკუთარ კედლებს". ეს უდავოდ აწევდა თამაშის ტონუსს. თორემ რა გამოდის: გუნდს მხოლოდ მაშინ ვამხნევებთ, როცა გოლს გაიტანს, ხოლო როცა დინამოელებს უჭირთ, ვდუმვართ. თბილისის დინამოელები ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებენ ფსიქოლოგიურად, და, ვფიქრობ, ჩვენი მხარდაჭერა ამ ხარვეზს შეავსებდა.

ვ. გიორგაძე.

[illegible] კია სტუმარს?..

არ გამკვირვებია, გულშემატკივართა შორის აზრთა სხვაობა რომ შეიქმნა ტრიბუნებზე ყოფაქცევის ნორმებთან დაკავშირებით. ზოგი ცდილობს გულშემატკივართა ჯგუფებად დაყოფას (არა მგონია ეს საქმეს შველოდეს!), ზოგიც წინააღმდეგია იმისა, რომ ტრიბუნებზე ხმაური იყოს (?!).

სტადიონზე მოსულ გულშემატკივარს კლასიფიკაცია არ სჭირდება! თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე, რომელიც ქართული სპორტის სახეა, თუ გნებავთ, მისი სული და გული, ერთი კანონი უნდა იყოს ყველასთვის — ვიყოთ წესიერნი, ობიექტური, კეთილმოსურნენი! განა ჩვენს ხალხს შეეფერება ლანძღვა-გინება, უშვერი სიტყვები? აი, რას უნდა ვებრძოლოთ დღენიადაგ. ხოლო ხმაური, ოვაციები, ყიჟინა ტრიბუნებზე ყოველთვის იყო და იქნება. ისინი საფეხბურთო სანახაობის განუყრელი კომპონენტები არიან. ხმაური და არა გინება! ნუ დაგვავიწყდება, რომ თბილისში სათამაშოდ ჩამოსული გუნდი ჩვენი სტუმარია, მთელი თბილისის, მთელი საქართველოს სტუმარია. ჰოდა, განა სახლში მოსულ სტუმარს გულანძღავ?.. რა თქმა უნდა, არა! მაშ რატომ ისმის ტრიბუნებზე ზოგჯერ ლანძღვა-გინების სიტყვები?

ვიცი, ხშირად ძნელია თავის შეკავება, მაგრამ თუ ფეხბურთი გვიყვარს, თუ საკუთარ გუნდს პატივისცემით ვეპყრობით, მეტოქემ რა დააშავა?

პრიზის მოსაპოვებლად საჭიროა ბრძოლა — ენერგიული ბრძოლა წესრიგისა და ობიექტურობისათვის. თუ ჩვენ ყველანი ერთად მოვინდომებთ, მერწმუნეთ, პრიზის პირველი ნავთსაყუდელი სწორედ თბილისი იქნება.

გ. მეგონია,
სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

სამკერდე ნიშანს სიამოვნებით მივიბნევდით

ორი წელიწადია სიმფეროპოლში ვმუშაობთ თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ. როგორც ყველა ქართველი გულშემატკივარი, ცხადია, ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" თამაშებს. ძალიან გაგვიხარდა, როდესაც ვიშოვეთ თბილისის „დინამოს" გუნდისადმი მიძღვნილი ტაბელ-კალენდარი 1977 და 1978 წლებში რომ გამოვიდა. ორივე გამოცემა ჩვენს ოთახს ამშვენებს. ნუთუ არ შეიძლება ასეთივე კარგი სამკერდე ნიშნებიც რომ გამოუშვათ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ემბლემებით?

გამოგიტყდებით, სიმფეროპოლის „ტავრია" არც ისეთი დიდი რეპუტაციის გუნდია, მაგრამ ქალაქში ყველგან იყიდება ამ კლუბის სამკერდე ნიშნები. „დინამოსა" და „ტორპედოს" სამკერდე ნიშნებს, გვერწმუნეთ, ყველა იყიდდა: ჩვენ კი ყველა თანამემამულეს, რომლებიც საქართველოდან მოშორებით სწავლობენ ან მუშაობენ, აღარ შეგვაწუხებდნენ შეკითხვებით: „თქვენ ვის გულშემატკივრობთ?"

ბ. მატუაშვილი,
ნ. ულუმბელაშვილი.

კლდეებს უტევენ ხერგიანები

საქართველოს პირველობა მეკლდეურობაში

მომხიბლავი მთების რკალშია მოქცეული რიწის ტბა. იშვიათად თუ იქნება ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი ხეობა, ბზის მარადმწვანე კორომებითა და ცადაზიდული 150-170 მეტრის კირქვის მასივებით. რიწის ტბისკენ მიმავალი გზა და ლამაზი ხეობა ყოველდღე ათასობით მოგზაურს მოითვლის.

სწორედ ამ გზის პირას, აუარებელი მაყურებლის წინაშე ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მეკლდეურობაში, რომელიც რვა დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

შეჯიბრებაში ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდობა მონაწილეობდა მესტიიდან, მულახიდან, ლენტეხიდან, ცხინვალიდან, ყაზბეგიდან და ქუთაისიდან, თბილისმა კი, გამოიყვანა ორი გუნდი, რომელიც დაკომპლექტებული იყო სპორტის ოსტატებითა და ოსტატობის კანდიდატებით.

განსაკუთრებით საინტერესო იყო შეჯიბრების მეორე დღე. ამ დღეს ვაჟთა შორის ინდივიდუალური გარბენი ტარდებოდა 100 მეტრიან ძალზე რთული რელიეფის კლდეზე, რომელიც თითქმის საკავშირო შეჯიბრებების ტრასებს უთანაბრდება (ამ კლდეზე ორი წლის წინ ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება ინდივიდუალურ გარბენში). ეს ტრასა 31 მონაწილიდან მხოლოდ 9 სპორტსმენმა გაიარა. ვაჟებს შორის პირველი იყო ლ. გურჩიანი (თბილისი I) — 120 ქულა. II ადგილი დაიკავა ჩვენმა ერთ-ერთმა უძლიერესმა მეკლდეურმა, ოსტატობის კანდიდატმა ა. ხერგიანმა (მესტია I) — 118,7 ქ., მესამე იყო ოსტატობის კანდიდატი ნ. დიდებულიძე — 110,3 ქ.

გოგონების ტრასა რიწის გზის 23-ე კილომეტრზე მდებარე კლდეებზე იყო აღმართული. (აქვე ჩატარდა წყვილთა გარბენი). აქ პირველი იყო თ. ქიტუაშვილი, რომელიც 3.42 მოანდომა კლდის დაძლევას და 120 ქულა მოაგროვა. მას 16 წამით ჩამორჩა ი. თურმანიშვილი — 117,83 ქ., მესამე იყო — ნ. შარიქაძე (თბილისი II) — 94,72 ქ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამეულთან ძალიან ახლოს იყვნენ თავისი შედეგებით მესტიის I გუნდის წარმომადგენლები ზ. მჭედლიანი და რ. სოლიანი. ზ. მჭედლიანმა მანამდე წყვილთა გარბენში III ადგილი დაიკავა.

დიდი ინტერესი გამოიწვია „დომბაის წყვილებში" შეჯიბრებამ. მეკლდეურობის ეს სახეობა უფრო მეტად მთამსვლელობის ელემენტებს შეიცავს. აქ წყვილი ურთიერთდახმარებით აღწევს მიზანს. ეს სახეობა ჩრდილოეთ კავკასიაში, დომბაის მთამსვლურ ბანაკში წარმოიშვა და ამიტომაც ეწოდა მას „დომბაის წყვილები". იგი მეკლდეურობის სხვა სახეობებთან შედარებით უფრო რთულია, მოითხოვს ხანგრძლივ წვრთნას და მთამსვლელობის ტექნიკის კარგ ცოდნას.

ამ სახეობაში რვა გუნდიდან მხოლოდ ორმა წყვილმა შეძლო ფინიშამდე მიღწევა. ყველას კი ლ. გურჩიან — ნ. დიდებულიძის წყვილმა აჯობა — 237 ქ. მესტიის I გუნდის წევრებმა ა. ხერგიანმა და ი. ხერგიანმა II ადგილი დაიკავეს — 221,82 ქ.

აქვე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ იდრისი ხერგიანზე, რომელიც მესტიის საშუალო სკოლის მოსწავლეა. მან ჯერ კიდევ შარშან მიიპყრო მაყურებელთა და მსაჯთა ყურადღება. წელს იგი დასრულებულ სპორტსმენად მოგვევლინა. ინდივიდუალურ გარბენში მან VI ადგილი დაიკავა.

ამრიგად, მრავალჭიდში I ადგილი ლ. გურჩიანმა დაიკავა, რომელიც საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. სამი სახეობის ჯამში მან 357 ქ. მოაგროვა. II ადგილზე **ა. ხერგიანი — 341,68 ქ.** ხოლო III — **ნ. დიდებულიძე —** 339,5 ქ.

გოგონათა შორის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა თ. ქიტუაშვილი — 359,79 ქ. მეორე იყო ი. თურმანიშვილი. მესამე — ზ. მჭედლიანი — 248.78 ქ.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: **თბილისი I — 437 ქულა, მესტია I — 422,82 ქ. თბილისი II — 208 ქ., მესტია II — 192 ქ., სამხრეთ ოსეთი — 168 ქ., ლენტეხი — 88,5 ქ., ყაზბეგისა და ქუთაისის წარმომადგენლებმა ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვეს.**

ამგვარად, საქართველოს ჩემპიონატმა ცხადყო, რომ გაიზარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ლტოლვა მეკლდეურობისადმი.

თუ არას ვიტყვით თბილისის პირველ გუნდზე, შესანიშნავად გამოვიდა მესტიის გუნდი, რომლის ჩამოყალიბებაში და დაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის ყოფილ მწვრთნელს ნ. ნიგურიანს.

აღსანიშნავია, რომ მესტიის გუნდის ვაჟები ყველანი ხერგიანის გვარისანი იყვნენ და ამდენად მათი გამოჩენა კლდეებზე დიდ ინტერესს იწვევდა. მესტიის გუნდის გამარჯვებაში იგრძნობოდა ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც საჭიროა დასახული მიზნის შესასრულებლად. მათი მწვრთნელის ჯ. გვარლიანის და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის მ. ხერგიანის წვლილი ამაში ძალიან დიდია.

ასევე გასახარია მესტიის რაიონის სოფელ მულახის ი. გაბლიანის სახელობის სპორტული სკოლის მეკლდეურთა მონაწილეობა, რომლებსაც მთამსვლელი ა. ნავერიანი ხელმძღვანელობს. ამ გუნდში კარგი შედეგები ჰქონდა ზ. ჯაჭვლიანსა და ა. ნავერიანს, რომლებმაც წყვილთა გარბენში VI ადგილი დაიკავეს. ნავერიანი მერვე იყო ინდივიდუალურ გარბენში.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაიწყეს წვრთნა ლენტეხის მეკლდეურებმა წელს. ამიტომ გასაგებია მათი მაჩვენებლებიც. და მაინც, ამ გუნდიდან გამოირჩეოდნენ ქ. გაზდელიანი და ბ. გუგავა.

უნდა აღინიშნოს სამხრეთ ოსეთის გუნდის გოგონათა გამოსვლა, რომელთა მწვრთნელია ცხინვალის საშუალო სკოლის პედაგოგი, სპორტის ოსტატი გ. დევიძე. ამ გუნდმა რომ V ადგილი დაიკავა, ამაში დიდი წვლილი მიუძღვის წარსულში ერთ-ერთ უძლიერეს მეკლდეურს, ამჟამად ცხინვალის საშუალო სკოლის პედაგოგს, სამი შვილის დედას მ. მაქაცარიას. მან VI ადგილი დაიკავა ინდივიდუალურ გარბენში. იმედია, მაქაცარია თავისი შეუპოვრობით შემდეგ ჩემპიონატში საპრიზო ადგილს დაიკავებს.

ყაზბეგისა და ქუთაისის გუნდები, რომელთაც წარსულში დიდი ტრადიციები ჰქონდათ, რამდენიმე წელია უფერულად გამოდიან ამგვარ შეჯიბრებაში.

ამ ასპარეზობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ რესპუბლიკური შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად უნდა ტარდებოდეს. ან კიდევ ასეთი ასპარეზობა მოსწავლეებისთვის ცალკე უნდა გაიმართოს.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად არამდგრადი მეტეოროლოგიური პირობებისა, საქართველოს პირველობა მაღალ დონეზე ჩატარდა. აღსანიშნავია ის კეთილგანწყობილება და ყურადღება, რომელიც ამ შეჯიბრების მიმართ გამოიჩინა საქართველოს კპ გაგრის საქალაქო კომიტეტმა. 41-ე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ხელმძღვანელობამ, ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივმა კომიტეტმა.

საერთოდ, იუფშარასა და გეგეს ხეობაში ყველა პირობაა შექმნილი უსაფრთხოებისთვის (სისტემატურად იწმინდება კლდეები).

ეს კლდეები უნდა გახდეს ქართველ მეკლდეურთა დიდი ლაბორატორია, სადაც წვრთნასთან ერთად ჩატარდება მაღალი კლასის შეჯიბრებებიც. სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე თვით გაგრის რაიონშიც უნდა იზრუნონ. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ძალზე მძიმე მდგომარეობაა რაიონებში საჭურვლის მხრივ.

დაბოლოს გაგაცნობთ დანარჩენ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს:

ქალები. წყვილთა გარბენი. ი. თურმანიშვილი — 120 ქ. თ. ქიტუაშვილი (ორივე — თბილისი I), ზ. მჭედლიანი (მესტია I) — 76,79;

ვაჟები: ლ. გურჩიანი — 120 ქ. ნ. დიდებულიძე — 115 ქ. ბ. ბულაშვილი (სამივე — თბილისი I) — 109.

დ. გოზალიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ნატახტარის მიდამოებში დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება საგზატკეცილო ველორბოლაში, რომელიც რუსთაველმა სპორტსმენებმა მოიგეს. პირად პირველობაში იმარჯვეს ამ ქალაქის მე-7 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ს. გლაზოვამ (ჯგუფურ რბოლაში) და მე-19 სკოლის მეცხრეკლასელმა ს. სპირიდონოვამ (25 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით).

• • •

სურათებზე: სპარტაკიადის ჩემპიონები ზევით — ს. სპირიდონოვა; ქვევით — ს. გლაზოვა.
ო. გელაშვილის ფოტოები.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

Argentina'78

პაუზა ჩემპიონატში, ჟამი განსჯისა

ბუენოს-აირესი, [illegible] ივნისი. (საკდეჰი). მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში დამდგარმა მცირეხნიანმა პაუზამ საშუალება მისცა მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს დეტალური ანალიზი გაუკეთონ განვლილ მატჩებს, შეიმუშაონ მომავალი თამაშების ტაქტიკური გეგმები.

როცა იტალიელთა ნაკრების მწვრთნელმა ე. ბეარზოტმა განაცხადა, რომ რადგან მისმა გუნდმა გაინაღდა მეოთხედფინალში გასვლა, მას უფლება აქვს გამოიყვანოს რამდენიმე სათადარიგო მოთამაშე, მაშინვე გაისმა ხმები იმის თაობაზე, რომ „სკუადრა აძურას" ხელმძღვანელს განზრახული აქვს უბრძოლველად დათმოს მატჩი. ბეარზოტმა პრეს-კონფერენციაზე აღშფოთებით განაცხადა: „როგორ, გავგზავნო გუნდი მინდორზე და ვუთხრა მოთამაშეებს, რომ წააგონ? სისულელეა. ასეთ შემთხვევაში მე, უბრალოდ, თავი უნდა დავანებო კოლექტივს".

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ბეარზოტი საშუალებას მისცემს რ. ბეტეგას, მ. ბელუჯის და ა. კუბრინის მოიშუშონ ის ტრავმები, რომლებიც მათ მიიღეს წინა მატჩში. იტალიელები საბრძოლველად არიან განწყობილი. „ჩვენ უარს ვამბობთ ცინიკური გამოანგარიშებანი ვაწარმოოთ თუ რომელ გუნდთან მოგვიწევს თამაში ჯგუფური ტურნირის შემდეგ, — თქვა ჯ. ანტონიონიმ.—ვიბრძოლებთ მხოლოდ გამარჯვებისთვის". მას მხარს უბამს რ. ბენეტი: „შევეცდებით ვითამაშოთ ჩვენი საუკეთესო მატჩი და, რასაკვირველია, გავიმარჯვოთ. დამარცხება—ეს ნიშნავს შევქმნათ გუნდში სისუსტეები, მოვადუნოთ კოლექტიურობისა და მონოლითურობის განწყობილება".

ჩემპიონატის მასპინძლები. აგრეთვე არ აპირებენ დაუთმონ იტალიის ნაკრებს „აფისიონადოსის" სტადიონზე, სადაც მათ 70 ათასი აზარტული გულშემატკივრის მხარდაჭერა ექნებათ. არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა ლ. მენოტიმ აღიარა, რომ ჯერ კიდევ არაა კმაყოფილი გუნდის ფორმით და იმედი გამოთქვა, რომ მისმა ფეხბურთელებმა უნდა გააძლიერონ თამაში, თუ კი გამარჯვება სწადიათ. „ჩვენი ნაკრების თამაშის დონე 50 პროცენტით დაბალია სასურველზე", — განაცხადა მან. მენოტიმ უარი თქვა დაესახელებინა თავისი გუნდის თუნდაც მიახლოებითი შემადგენლობა იტალიელებთან მატჩში ექიმის დასკვნის მიღებამდე. ფრანგებთან შეხვედრაში, როგორც ცნობილია, ტრავმირებული იქნა ლ. ლიუკე, რომელიც ალბათ ვერ ითამაშებს იტალიელთა წინააღმდეგ. კითხვის ნიშნის ქვეშაა მეორე არგენტინელი ფორვარდის — ნ. ალონსოს გამოსვლაც. ზურგი დაიზიანა მეკარე უ. ფილოლმა, თუმცა იგი შემდგომ მატჩში თამაშს აპირებს.

არგენტინელები დარწმუნებული არიან გამარჯვებაში. კერძოდ, მ. კემპესმა პირობა დადო, რომ აუცილებლად გაარღვევს მეტოქის დაცვას. განზრახული აქვს გააძლიეროს თამაში მარჯვენა გარემარბმა რ. ხაუსმანმაც, რომლისგანაც მეტს მოელიან.

უნდა მოველოდეთ, რომ იტალიელები და არგენტინელები ითამაშებენ, თუ შეიძლება ითქვას, „პრესტიჟის მატჩს".

ორი მწვრთნელი მოექცა თანამემამულეთა უმკაცრესი კრიტიკის ქარცეცხლში. ესენია ბრაზილიელი კ. კუტინიო და შოტლანდიელი ა. მაკლეოდი. კუტინიოს აბრალებენ ბრაზილიის ნაკრებისა და, საერთოდ, ბრაზილიური ფეხბურთის ყველა წარუმატებლობას. აი, რა თქვა ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ ნ. სანტოსმა: „ჩვენი გუნდი შეუთამაშებელია, ვერ ავლენს მინდორზე ვერც შემოქმედებას, ვერც შეტევ სიმძლავრეს". პელემ გაზეთ „კლარინთან" ინტერვიუში განაცხადა: „მე აქ ჩამოვედი, რათა დავსწრებოდი ბრაზილიელთა ზეიმს, მაგრამ გუნდის თამაში ჯერჯერობით სრულ გაწბილებას იწვევს". პელემ დაუმატა, რომ ესაა „ეროვნული ტრაგედია", ვინაიდან ვერ ხედავს გარანტიას ბრაზილიის ნაკრებმა მოიპოვოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე თამაშის უფლება. „ძალზე უხერხულად გრძნობ თავს, როცა ზიხარ პრეს-ლოჟაში და უცქერი შენს თვალწინ გადაშლილ სამწუხარო სპექტაკლს, — ჩივის პელე. — ჯობდა თვითონ გამოვსულიყავი მინდორზე. წამებაა, როცა არ შეგიძლია მიეხმარო შენს ამხანაგებს. ბრაზილიელებს ესპანეთის გუნდთან კიდევ ორი საათი რომ ეთამაშათ, მაინც ვერ გაიტანდნენ გოლს".

თავის თანამემამულეთა მიმართ მკაცრი კრიტიკა გამოთქვა ბრაზილიელთა ყოფილმა მოთამაშემ გერსონმა, რომელიც ტელეკომენტატორად არის ჩამოსული არგენტინაში:

„ბრაზილიის ახლანდელი გუნდი უსულგულოდ თამაშობს, ფეხბურთელთა მკერდში არ ფეთქავს წმიდათაწმიდა ცეცხლი. ისე ჩანს, თითქოს მათ არც უხარიათ, რომ ეროვნული ნაკრების მაისურებს ატარებენ".

გერსონს მიაჩნია, რომ ნაკრებთან მუშაობის მანძილზე კუტინიომ ვერ გამოიმუშავა თამაშის გარკვეული სტილი: „ოთხი წლის განმავლობაში კუტინიომ გასინჯა 80 ფეხბურთელი. ეს საოცარი ციფრია. და რა გამოვიდა? არაფერი.—ერთობ საშუალო ხარისხის მცველები და თამაშის თითქმის დაცვითი სისტემა. ინდივიდუალურად ფეხბურთელებს არა უშავთ, მაგრამ კოლექტიური თამაში არ გამოდის სრულიად".

და მაინც, ბრაზილიელთა შემდგომ მატჩში გუნდის ხელმძღვანელი იქნება ისევ კუტინიო. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ე. ნუნიესმა განაცხადა: „კუტინიომ იკისრა პასუხისმგებლობა გუნდისთვის და მან არ უნდა გამოიჩინოს სისუსტე შექმნილ სიტუაციაში. ჩვენ რომ ახლა, ჩემპიონატის მსვლელობაში მოვხსნათ იგი მწვრთნელის პოსტიდან, შევქმნით უპრეცედენტო შემთხვევას ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში".

ჩვეულებრივი, უსიტყვო კაცი, ბრაზილიის არმიის თადარიგის კაპიტანი, 38 წლის ფიზაღზრდის მასწავლებელი კ. კუტინიო იძულებული იყო ორიოდე სიტყვა ეთქვა თავის დასაცავად. მან განაცხადა, რომ ევროპელებთან წარმატებითი ბრძოლისთვის გუნდს სჭირდება უფრო ძლიერი მოთამაშეები, თუმცა, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთი არაფრით ჩამორჩება ევროპულს, შეიძლება, მხოლოდ ძალასა და თამაშის სისწრაფეში.

ამრიგად, ბრაზილიელები ავსტრიის გუნდთან მატჩში გამოვლენ მხოლოდ გამარჯვებისთვის საბრძოლველად. ბრაზილიის გაზეთი „ფოლია სან-პაულუ" წერს: „გამარჯვება საჭიროა კიდევ იმიტომ, რომ გავამართლოთ ის რამდენიმე მილიონი დოლარი, რომელიც დაიხარჯა ასეთი სუსტი და ზარმაცი ნაკრების შესაქმნელად და მოსამზადებლად".

არგენტინული გაზეთები აქებენ ავსტრიის გუნდს, აღნიშნავენ მის მძლავრ, დინამიკურ და მოქნილ თამაშს. ავსტრიელთა მწვრთნელმა ჰ. სენეკოვიჩმა თქვა: „ჩვენი მიზანი ნათელია — უძლიერესთა შორის მოხვედრა". ავსტრიელმა ფეხბურთელმა ი. ჰიკერსბერგერმა დაუმატა: „ჩვენს ხელთაა ბრაზილიელ ფეხბურთელთა ბედ-იღბალი. ეს გაუგონარი რამაა!" ავსტრიელი ფეხბურთელები არგენტინელი მაყურებლის საყოველთაო პატივისცემით სარგებლობენ, აი შოტლანდიელები კი, „ჯონსტონის საქმისა" და ხულიგანი გულშემატკივრების გამო უკმაყოფილებას იწვევენ. ირანელებთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ შოტლანდიელმა გულშემატკივრებმა დალეწეს რესტორანი, 15 ხულიგანი დააპატიმრა არგენტინის პოლიციამ.

გაზეთები ხაზს უსვამენ ჩემპიონატის აღმოჩენას — ტუნისისა და პერუს გუნდებს, ამავე დროს გაწბილებით წერენ მსოფლიო ჩემპიონებზე — გფრ-ის ფეხბურთელებზე. თუმცა მწვრთნელი ჰ. შიონი ფარ-ხმალს არ ყრის. „კლარინის" კორესპონდენტს მან განუცხადა, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

ფეხბურთი

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1 (0:0). თბილისელთაგან გოლი გაიტანა კაკილაშვილმა.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: მამინაშვილი (გაბელია), რუხაძე, დურდიაძე, ობაძე (აფხაზავა), ჭილაია, კოვალეიშვილი (ღარასელია), გოგოლაძე, ჯოხაძე, კაკილაშვილი, ბახსაშვილი, ჩელებაძე (ებანოიძე).

უმაღლესი ლიგა

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა, IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შირაკი"	17	10	6	1	37—14	26
„კოტაიკი"	17	11	3	3	23—13	25
ფიზკ. ინსტ.	17	7	7	3	18—12	21
„ტურბინა"	17	9	2	6	22—24	20
„ყარაბახი"	17	8	4	5	21—11	20
„ზვეზდა"	17	8	4	5	20—11	20
„გურია"	17	7	5	5	22—20	19
„დინამო" ზ.	17	6	6	5	17—14	18
„ლოკომოტ."	17	7	3	7	25—29	17
„დინამო" ს.	17	6	5	6	23—20	17
„ტორპედო"	17	6	5	6	17—12	17
„დინამო" ბ.	17	6	5	6	16—15	17
„ავტომობ."	16	8	0	8	17—19	16
„გაზოვიკი"	17	6	4	7	17—17	16
„ზენიტი"	17	5	6	6	15—16	16
„პროგრესი"	16	7	1	8	17—20	15
„გასტელო"	17	6	3	8	17—23	15
„ხაზარი"	17	6	3	8	16—22	15
„რუბინი"	15	5	5	5	16—17	15
„დილა"	17	2	10	5	13—17	14
„დრუჟბა"	17	5	3	9	17—18	13
„ურალმაში"	17	5	3	9	16—28	13
„დინამო" კრ.	17	5	2	10	14—20	12
„არაზი"	17	2	3	12	13—37	7



სხვა გუნდებისგან განსხვავებით შვედებთან დიდი სტუმრიანობაა. „ტრე კრუნურის" ფეხბურთელები ბუენოს-აირესის ცენტრში ცხოვრობენ და კარი ყველასთვის ღია აქვთ. „დასამალი არაფერი გვაქვს", აცხადებს შვედების მწვრთნელი გ. ერიქსონი.

• • •

არგენტინელი მსაჯის 45 წლის ანხელ ნორბერტო კოვრეცასთვის ეს ჩემპიონატი რიგით მესამეა. წინა ორში მან 14 მატჩი იმსაჯა, ამას გარდა მის პირად ანგარიშზეა 100 საერთაშორისო და 900 მატჩი ეროვნულ პირველობაზე.

ინტერვიუ პრეზიდენტთან

არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე გაზეთ „იზვესტიის" წარმომადგენელი შეხვდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ჟ. ავილანჟს და რამდენიმე შეკითხვა მისცა მას:

— როგორ აფასებთ არგენტინის ჩემპიონატის პირველ თამაშებს?

— 16 ჩატარებული მატჩიდან თითქმის ნახევარი შესანიშნავი იყო. არის საინტერესო გუნდები, ძლიერი მოთამაშეები.

— რა მოსდის ბრაზილიის ნაკრებს?

— ცუდად თამაშობს. რატომ — გაურკვეველია. მე უკვე ოთხი წელია არა ვარ გუნდთან. როცა ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ხელმძღვანელი ვიყავი, შეიძლება რაღაცას ისე ვერ ვაკეთებდით, როგორც საჭიროა, მაგრამ ისეთი შედეგები, როგორიც ახლაა, არა გვქონია.

— აქვს თუ არა ხარვეზი მსოფლიო პირველობის ახლანდელ სისტემას ფინალის 16 მონაწილით?

— რა თქმა უნდა, სისტემის სრულყოფა საჭიროა. სიახლეებიც მომწიფდა. ორგანიზატორები უკვე ახლა გვთავაზობდნენ 20 გუნდს, მაგრამ საამისოდ არგენტინას არ ყოფნიდა შესაფერისი სტადიონები.

— როგორი იქნება 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი? როგორც ცნობილია, ესპანეთის 22 ქალაქი მონაწილეობს კონკურსში ჩემპიონატის თამაშების ჩატარებაზე.

—ფიფა-სთვის მთავარია არა კონკურსები, არამედ საქმის ფაქტიური მდგომარეობა. სპეციალური კომისია ოქტომბერში ჩავა ესპანეთში და გაეცნობა მდგომარეობას. თუ კომისია მიიღებს 10-12 სტადიონს, ფინალში შეიძლება იყოს 24 გუნდი. მაგრამ ამას ვწყვეტ არა მე, არამედ ფიფა-ს აღმასკომი.

— ხომ არ გაჭიანურდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი 24 გუნდით?

— იგი ჩატარდება 28 დღეში, რაც სულ 3 დღით მეტია ახლანდელზე.

— როგორ უნდა მოხდეს ფინალისტთა გამოვლენის ახალი წესი? ძველებურად, შესარჩევი ჯგუფებით?

— ნაწილობრივ. 18 გუნდი გამოვლინდება ასე: ორგანიზატორი ქვეყანა, მსოფლიო ჩემპიონი, 10 გუნდი ევროპიდან, 3 — სამხრეთ ამერიკიდან, ერთი — აზიიდან, ერთი — აფრიკიდან, ერთი — ცენტრალური ამერიკიდან. კიდევ 6 გუნდი გაირკვევა სპეციალურ ტურნირში 12 მონაწილით. აქ შეიძლება ითამაშონ შესარჩევ ტურნირში დამარცხებულმა მონაწილეებმაც.

— შარშან თქვენ იმყოფებოდით მოსკოვში, კიევში, ლენინგრადში და მაღალი შეფასება მიეცით ჩვენს სპორტულ ნაგებობებს, აღნიშნეთ, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას ასეთი სტადიონებით შეუძლია მასპინძლობა გაუწიოს მსოფლიო ჩემპიონატს.

— ფიფა-ს კონგრესზე 1980 წელს აირჩევენ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილს. ახლა, ესპანეთის შემდეგ, დგება ამერიკის რიგი. 1990 წლის ტურნირს ჯერ მისამართი არა აქვს. თუ საბჭოთა ფედერაციას სურვილი აქვს უმასპინძლოს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს, ეს უნდა გააკეთოს ახლავე. დარწმუნებული ვარ, რომ ფიფა ასეთ თხოვნას მხარს დაუჭერს.

— თავის დროზე თქვენ გამოთქვით აზრი, რომ შესაძლებელია მოეწყოს ვეტერანთა საფეხბურთო ტურნირი. რა შეხედულებისა ხართ ახლა?

— როგორც მაშინ — დადებითი. მე უკვე დავასახელე ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ეძებს პარტნიორებს და შესაძლოა რამდენიმე თამაშის ჩასატარებლად ჩამოვიდეს არგენტინაში. მოთამაშეთა ასაკი არ უნდა იყოს 35-37 წლისაზე ნაკლები, მაგრამ არც 40-45-ზე მეტი. შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევები. მთავარია, რომ გუშინდელმა კერპებმა კვლავ აღაფრთოვანონ მაყურებლები და არ გააწბილონ ისინი. თუ ასეთი ტურნირი მოეწყობა, მე ვიძლევი ბრაზილიის ნაკრების ჩამოსვლის გარანტიას. შესაძლოა მასში პელეც იყოს.

ვინ ამობრწყინდება „ვარსკვლავად?"

ორი საერთაშორისო ასოციაცია — ფეხბურთისა (ფიფა) და სპორტული პრესისა (აიპს-ი) შეთანხმდნენ, რომ მსოფლიოს XI ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს დაასახელებენ ჟურნალისტები. ამ რეფერენდუმში მონაწილეობას მიიღებენ ჩემპიონატის პრეს-ცენტრთან აკრედიტებული ჟურნალისტები. მომავალ „ვარსკვლავს" ელის ცნობილი სპორტული ფირმა „ადიდასის" პრიზი, რომელიც მას გადაეცემა ფინალური მატჩის მეორე დღეს. ვარაუდობენ, რომ ამ საპატიო მისიას შეასრულებენ ფიფასა და აიპს-ის პრეზიდენტები.

ვინ არის მთავარი პრეტენდენტი „ვარსკვლავის" ტიტულზე? პელეს, კრუიფის, ბეკენბაუერის, გ. მიულერის ასპარეზიდან წასვლის შემდეგ აშკარა ფავორიტის დასახელება ძნელი საქმეა, მაგრამ თუ გადავხედავთ ჩემპიონატების ისტორიას, ვნახავთ, რომ არაა სავალდებულო ტურნირზე „ვარსკვლავად" ჩასვლა, მთავარია იქიდან წამოხვიდე ასეთად.

1930 წელს, პირველ ჩემპიონატზე ურუგვაიში ბრწყინავდა მასპინძელთა გუნდის მოთამაშე ანდრადე, რომელიც ბურთის უბადლო „მომთვინიერებელი" იყო. 4 წლის შემდეგ იტალიაში ელვარებდნენ მეკარეების ზამორას (ესპანეთი), პლანიჩკას (ჩეხოსლოვაკია) და კომბის (იტალია) სახელები. „სკუადრა აძურას" ცენტრალური თავდამსხმელი, იტალიელთა კაპიტანი პიოლა აშკარად საუკეთესო იყო 1938 წელს საფრანგეთში. IV ჩემპიონატზე ბრაზილიაში ბადალი არ ჰყავდა მასპინძელთა თავდამსხმელს ადემირს. შვეიცარიაში 1954 წელს ავანსცენაზე გამოვიდნენ გფრ-ის ფეხბურთელები ვალტერი და რანი.

1958 წლის ჩემპიონატმა მსოფლიოს ფეხბურთს მისცა 17 წლის ედსონ არანტეს დო ნასიმენტო-პელე. სწორედ შვეციის სტადიონებზე დაიწყო ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის დიდი გზა, რომელიც 20 წელიწადს გაგრძელდა. ჩილეს ჩემპიონატზე 1962 წელს. საუკეთესო იყო პელეს თანამემამულე გარინჩა. თვით პელემ კი ტრავმა მიიღო, ისევე როგორც 1966 წელს ინგლისში. ფეხბურთის სამშობლოში უძლიერესნი იყვნენ ბეკენბაუერი (გფრ), ეუსებიო (პორტუგალია), ჩარლტონი და მური (ორივე — ინგლისი), მექსიკაში 1970 წელს გამოირჩეოდნენ ბრაზილიელები პელე, გერსონი და მიულერი (გფრ). და ბოლოს 1974 წელს გფრ-ში პირველობდნენ ჰოლანდიელი კრუიფი, ბეკენბაუერი და პოლონელი დეინა.

მაინც ვის აქვს ყველაზე მეტი შანსი იმარჯვოს არგენტინაში?

მასპინძლები ასეთად თვლიან თავიანთ მოთამაშეს კემპესს, რომელსაც ეფექტური გოლები გააქვს. ბრაზილიელებს მიაჩნიათ, რომ საუკეთესონი არიან მათი ვეტერანი რიველინო და ზიკო. ფრანგების გუნდში გამოირჩევა პლატინი, იტალიელებისაში — ანტონიონი და ბეტეგა, ავსტრიელებისაში — კრანკლი, შოტლანდიელებისაში — დალგლიში. ჰოლანდიელებს სჯერათ ნეესკენსის, რენსენბრინკისა და რეპის, პოლონელებს — დეინასი, ლატოსი და ლიუბანსკისა, პერუელებს — სოტილასი და კუბილასისა, შვედებს — ნორდკვისტისა და ედსტრიომის.

რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონებს, მათ გუნდებში ფავორიტთაგან „დარჩა" მეკარე მაიერი, თუმცა მის გარდა არიან ახალი „ვარსკვლავებიც" — ბონჰოფი, ფლოე, ფიშერი...

განსაკუთრებული მოგზაურობა

ნიუ-იორკის „ხილტონ ატლეტიკ კლუბში" გაიმართა „არჩევნები აშშ-ის „ათწლეულის სპორტსმენის" (1968-1978 წლები) გამოსავლენად. წილისყრაში მონაწილეობდა ამერიკის ასზე მეტი სპორტული მიმომხილველი, აქ იყვნენ სპორტული გამოცემის რედაქტორები, რადიო და ტელეკომენტატორები. წილისყრის შედეგები, რომელსაც საიდუმლოდ ამუშავებდა ელექტრონგამომთვლელი მანქანა, მოათავსეს დალუქულ კონვერტში და გადასცეს ჟიურის თავმჯდომარეს ენდრელა პირსონს.

მინისტრმა პირსონმა საზეიმო ვითარებაში გახსნა კონვერტი და შეუდგა სიის კითხვას საწინააღმდეგო რიგით. უკანასკნელი გვარის ამოკითხვის წინ მან მრავლისმეტყველი პაუზა გააკეთა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— ახლა კი ათწლეულის სპორტსმენი: მუჰამედ ალი!

თვით მუჰამედ ალიმ კონკურსში გამარჯვების შესახებ მაშინ შეიტყო, როცა სარეისო თვითმფრინავ „ერ ფრანსის" სალონში იმყოფებოდა და საფრანგეთიდან სამშობლოში მიფრინავდა.

...ამ დღეებში „ათწლეულის სპორტსმენი" საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის მოწვევით მოსკოვში ჩამოვა. ხუთშაბათს, 8 ივნისს, საბჭოთა საელჩომ აშშ-ში შეხვედრა მოუწყო მუჰამედ ალის. შეხვედრამ უაღრესად მეგობრულ და გულღია ვითარებაში ჩაიარა. უფრო ადრე კი ალიმ ინტერვიუ მისცა „იზვესტიის" კორესპონდენტს.

— მე მოვიარე თითქმის მთელი დედამიწა, 14 წლის მანძილზე ვიყავი მსოფლიო ჩემპიონი და მაინც თქვენს ქვეყანაში გამგზავრების წინ იმ მოზარდივით ვღელავ, რომელიც პირველად ტოვებს თავის პატარა ქალაქს, — თქვა მუჰამედ ალიმ, — საბჭოეთის ქვეყანაში მოგზაურობა — განსაკუთრებული მოგზაურობაა. როცა შტატებში საბჭოთა ტურისტებს ვხვდები, ისინი მე მცნობენ და თბილად მესალმებიან.

ვიზებზე და პასპორტებზე საუბრისას ალის ის წლები აგონდება, როცა ვიეტნამის აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად სამხედრო სამსახურზე უარი განაცხადა და ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო დეპარტამენტმა საზღვარგარეთის პასპორტი ჩამოართვა. როგორც ცნობილია, მუჰამედ ალი გაასამართლეს და ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს, ამავე დროს ჩამოართვეს მსოფლიო ჩემპიონის წოდება და რინგზე გამოსვლაც აუკრძალეს.

აი, რას ამბობს აშშ-ის „ათწლეულის სპორტსმენი" საბჭოთა კავშირში მოგზაურობის მიზნებზე:

— თქვენს ქვეყანაში სპორტი საყოველთაო ყურადღებით სარგებლობს. შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა სპორტსმენები ყოველთვის კარგ ფორმაში არიან, ხოლო თქვენი მოყვარული მოკრივეები ყოველთვის ამარცხებენ ჩვენს მოყვარულ მოკრივეებს. და აი, მე გამიჩნდა სურვილი პირადად ჩამოვართვა ხელი მათ, ვნახო ისეთი კარგები თუ არიან, როგორც ტელეეკრანზე ჩანან. თუ შესაძლებლობა მექნება, რინგზეც შევხვდები თქვენს მოკრივეებს. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს საჩვენებელი შეხვედრები.

მაგრამ საბჭოთა კავშირში ჩემი მოგზაურობის მთავარი მიზანი ეს როდია, — აგრძელებს მუჰამედ ალი, — მე ხომ თქვენს ქვეყანაში მივდივარ არა როგორც ტურისტი, არამედ როგორც ჩემი ხალხის წარმომადგენელი. ამიტომ ჩემი მოგზაურობის მთავარი მიზანია — კეთილი ნება. მე შევეცდები ყველაფერი გავაკეთო, რათა ჩემი წვლილი შევიტანო ჩვენი ხალხების, ამერიკელი და საბჭოთა ადამიანების მეგობრობის განმტკიცებაში.

კრილატსკოეს ოლიმპიური სანიჩბოსნო არხი. კანოეებით ნიჩბოსნობაში შეჯიბრების მომენტი.

საქდესის ფოტო.

ჭადრაკი

უკრაინის დედაქალაქ კიევში, იუგოსლავიის ქალაქ ნიკშიჩში და ლატვიის ქალაქ იურმალაში მიმდინარეობს მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც ბევრი ცნობილი დიდოსტატი მონაწილეობს.

კიევში გაიმართა ოთხი ტური. შესანიშნავად დაიწყო შეჯიბრება უკრაინის ჩემპიონმა, ოდესელმა ოსტატმა კ. ლერნერმა, რომელსაც 3,5 ქულა აქვს. მის გარდა ტურნირში მონაწილეობენ დიდოსტატები გ. კუზმინი, ა. ბელიავსკი, ო. რომანიშინი, პოლონელი ადამსკი, ჰოლანდიელი რეე, ჩეხოსლოვაკიელი ფტაჩნიკი და სხვ.

ნიკშიჩში შედგა სამი ტური. აქ დაწინაურდა ერევნელი დიდოსტატი რ. ვაჰანიანი — 2,5 ქულა. 2-2 ქულა აქვთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ბ. გულკოს, ჩეხოსლოვაკიელ ვ. ჰორტს, ვ. ულმანს (გდრ) და ჰოლანდიელ ი. ტიმანს. მათ გარდა ტურნირში გამოდიან იუგოსლაველი ს. გლიგორიჩი, შვედი უ. ანდერსონი და სხვ.

იურმალაშიც ოთხი ტური გაიმართა. აქ ლიდერობს ლატვიელი მოსწავლე ზ. ლანკა, რომელსაც 2,5 ქულა აქვს 3-დან. ამდენივე მოაგროვა ბულგარელმა ვ. ერმენკოვმა, ოღონდ 4-დან. 2-2 ქულა აქვთ ფინელ ხ. ვესტერინენს და საბჭოთა დიდოსტატს ა. ლუტიკოვს. პირველს 2 გადადებული პარტია აქვს, ხოლო მეორეს — ერთი. მათ გარდა ტურნირში მონაწილეობენ დიდოსტატები დ. ბრონშტეინი, ა. გიპსლისი, ე. გუფელდი, მ. ტაიმანოვი და სხვ.

ველოსპორტი

ინგლისში გრძელდება საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა, რომელიც „რძის ტურნეს" სახელითაა ცნობილი. უკან დარჩა 10 ეტაპი. გუნდურ ჩათვლაში ლიდერთა მდგომარეობა შეიცვალა: საბჭოთა ნაკრებმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა და იგი 3 წუთს უგებს შვედებს. ამერიკელები მესამე ადგილზე იმყოფებიან. პირად ჩათვლაში ისევ პოლონელი ი. ბჟეზნი ლიდერობს. მეათე ეტაპი კი ჰოლანდიელმა ვ. მესენმა მოიგო.

მშვილდოსნობა

ვილნიუსში გრძელდება სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა მშვილდოსნობაში. ა. ივანენკომ მ-1 ვარჯიშში 1292 ქულა მოაგროვა, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია ვაჟებისთვის.

„სპორტლოტო":

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის ოცდამესამე ტირაჟისა, რომელიც 7 ივნისს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2377 მანეთ ხუთისთვის — 1377, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 7 ოთხისთვის — 45, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2": ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 3570 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 106, ოთხისთვის — 81, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 18 ივნისიდან 18 ივლისის ჩათვლით.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს" მორიგ ოცდამესამე ტირაჟი.

აი, მოგებული ციფრები:
პირველი: 10, 13, 14, 19, 28
მეორე: 2, 13, 15, 20, 23.

მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

ტახტი ვერ შეინარჩუნა

ფიდე-ს XXXI კონგრესმა (ლუქსემბურგი, 1959 წ.) გააუქმა დამარცხებული მსოფლიო ჩემპიონის უფლება მატჩ-რევანშზე, მაგრამ უკანასკნელად დაუტოვა იგი მ. ბოტვინიკს. ცხადია, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გამოიყენა ეს უფლება და მ. ტალი მატჩ-რევანშში გამოიწვია.

დაკვირვებულ ბოტვინიკს არ გამოპარვია, რომ ტალი წინა მატჩისთვის ცუდად იყო მომზადებული, თუმცა გაიმარჯვა. მას მხოლოდ ოთხი სადებიუტო სისტემა ჰქონდა დამუშავებული შავებით და თითქმის ყოველთვის საეჭვო პოზიციებს ღებულობდა. ამიტომ ბოტვინიკი ფიქრობდა, რომ მატჩ-რევანშისთვის ტალი ვერ მოასწრებს სადებიუტო რეპერტუარის გამდიდრება-გაღრმავებას. ამბობდა იმასაც, რომ ახალგაზრდა დიდოსტატი სჯობნიდა მას თამაშის მეხუთე საათზე. 50 წლის ბოტვინიკი ბოლომდე ვერ უძლებდა დაძაბულ პაექრობას და ცაიტნოტში უზუსტოდ მოქმედებდა, რასაც ტალი შესანიშნავად იყენებდა. მატჩ-რევანშში საჭირო იყო დროის უფრო რაციონალური განაწილება. დაღლილობის საწინააღმდეგოდ ბოტვინიკმა გადაწყვიტა მეხუთე საათზე ფინჯანი ყავა მიეღო.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ისე გულმოდგინედ რომ აანალიზებდა გარდასულ პერიპეტიებს და ემზადებოდა განმეორებითი შეხვედრისთვის, ტალი დიდების შარავანდედით ტკბებოდა. აღფრთოვანებულმა ჟურნალისტებმა და ქომაგებმა მთლიანად „მიაძინეს" იგი უსაზღვრო ქებით. ახალგაზრდა ჩემპიონი მწარედ ცდებოდა, თითქოს ბოტვინიკი უკვე ძლეული ჰყავდა. მას ავიწყდებოდა სმისლოვ — ბოტვინიკის მატჩ-რევანშის მაგალითი.

ბოტვინიკის იმდროინდელი სეკუნდანტი, ოსტატი გ. გოლდბერგი 1971 წელს იგონებდა: „როცა ტალს პრაღაში გასტროლების დროს კორესპონდენტმა ჰკითხა: როგორ ემზადებით დებიუტების მხრივ მატჩ-რევანშისთვის? — ტალმა უპასუხა, რომ ეს საკითხი თავის მწვრთნელ-სეკუნდანტს ა. კობლენცს დაავალა". გოლდბერგის აზრით, ამ სიტყვების შემდეგ „უკვე აღარ იყო საჭირო მატჩის თამაში, რადგან ტალს წაგებული ჰქონდა იგი დაწყებამდე დიდი ხნით ადრე".

ტალ — ბოტვინიკის მატჩ-რევანში დაინიშნა მოსკოვში, ესტრადის თეატრში 1961 წლის გაზაფხულზე, სტარტის დღედ 15 მარტი გამოცხადდა. ბოტვინიკმა სეკუნდანტად არავინ აიყვანა, თუმცა მზადების პროცესში მას დებიუტების დიდი სპეციალისტი, ოსტატი ს. ფურმანი (შემდგომ მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის მწვრთნელი) ეხმარებოდა. ტალის სეკუნდანტი ისევ კობლენცი იყო.

არ შეცვლილა მატჩ-რევანშის რეგლამენტიც. მეტოქეებს 24 პარტია უნდა ეთამაშათ. ოღონდ ამჯერად ყაიმი (12:12) ყოფნიდა ტალს ტიტულის შესანარჩუნებლად. მსაჯებად კვლავ გ. შტალბერგი (შვეცია) და ჰ. გოლომბეკი (ინგლისი) მიიწვიეს.

ვიდრე მეტოქენი თამაშს შეუდგებოდნენ, 1960 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ორივემ მონაწილეობა მიიღო XIV საჭადრაკო ოლიმპიადაში ლაიფციგში. საბჭოთა გუნდმა ყველა (20) მატჩი მოიგო. I დაფაზე ტალმა 11 ქულა მოაგროვა (15-დან), II დაფაზე ბოტვინიკმა — 10,5 (13-დან). 1961 წლის დამდეგს ტალმა I ადგილი დაიკავა სტოკჰოლმის საერთაშორისო ტურნირში. ბოტვინიკს არსად უთამაშია, მყუდროებაში განაგრძობდა მეცადინეობას.

ჭადრაკის სამყარო დიდი ინტერესით შეხვდა მატჩ-რევანშს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ეივე (ჰოლანდია) ამბობდა, რომ ეს არის „XX საუკუნის მატჩი".

და აი, მეტოქენი მიუსხდნენ მაგიდას. გაჩაღდა უშეღავათო თამაში. თანდათან დაწინაურდა ბოტვინიკი და ლიდერობაც განიმტკიცა. ტალი ბოლომდე უდიდესი ოპტიმიზმით და მონდომებით იბრძოდა, მაგრამ ბოტვინიკის ფოლადის მარწუხებს თავი ვერ დააღწია. XXI პარტიამ, რომელიც 12 მაისს შედგა, წერტილი დაუსვა მატჩს. გაიმარჯვა ბოტვინიკმა.

გთავაზობთ ორთაბრძოლის მსვლელობას:

1:0, 1:1, 2:1, 2,5:1,5, 3:2, 3,5:2,5, 4,5:2,5, 4,5:3,5, 5,5:3,5, 6,5:3,5, 7,5:3,5, 7,5:4,5, 8,5:4,5, 9:5, 10:5, 10,5:5,5, 10,5:6,5, 11,5:6,5, 11,5:7,5, 12:8, 13:8 (+10—5=6).

15 მაისს ბოტვინიკი მეხუთედ შეამკეს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინით.

რა იყო ტალის დამარცხების მიზეზი? ბოტვინიკის აზრით სუსტი სადებიუტო მომზადება. მან ბევრი პარტია წააგო შავებით. დაგვიანებით გამოიყენა თავისი საყვარელი ძველინდური დაცვა. ამასთან, ბოტვინიკმა შეძლო ტალის კომბინაციური თამაშის დაოკება. ზოგჯერ თავადაც მიმართავდა ტაქტიკურ ხერხებს. ტალმა ვერ გამოავლინა თავისი დიდი ტალანტის ყველა შესაძლებლობა.

მატჩის შემდეგ ბოტვინიკმა გაზეთ „იზვესტიაში" გამოაქვეყნა სტატია „ანალიზი თუ იმპროვიზაცია?", რომელშიც ტალის ფიასკოს ხსნიდა ახალგაზრდა დიდოსტატის მხრიდან ჭადრაკში ანალიტიკური მუშაობის უგულებელყოფით. ტალი იმპროვიზატორია და თანამედროვე ჭადრაკში ასეთი მიდგომით ძნელია წარმატებების მოპოვებაო.

ბოლოს ბოტვინიკი დასძენს: „მატჩ-რევანში ტალისთვის იყო პირველი წარუმატებლობა საჭადრაკო ცხოვრებაში. მსგავსი პროცედურა ჩემზე მუდამ კარგად მოქმედებდა. თუ როგორ იმოქმედებს იგი ნიჭიერ ექს-ჩემპიონზე, მომავალი გვიჩვენებს".

თ. გიორგაძე.

დედამიწის ირგვლივ

ლონდონი, (საქდესი). ნაომი ჯეიმსი თავისი იახტით 8 ივნისს შევიდა ინგლისის პორტ დარტმუტ და დაამთავრა დედამიწის ირგვლივ ცურვა აფრიანი ნავით. მან დაახლოებით 30000 საზღვაო მილი 27 დღეში დაფარა და ორი დღე-ღამით გააუმჯობესა ცნობილი ინგლისელი მოგზაურის ფრენსის ჩიჩესტერის მიღწევა.

ახალზელანდიელი ფერმერის ქალიშვილმა, დიასახლისმა ნაომმა, რომელიც ახლა 29 წლისაა, დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა დაიწყო შარშან 9 სექტემბერს ინგლისის სამხრეთ სანაპიროდან ფიბერგლასის იახტა „ექსპრეს კრუზეიდერით".

შეგახსენებთ, რომ დედამიწის ირგვლივ აფრიანი ნავით ქალთა შორის პირველმა იმოგზაურა კრისტინა ჰოინოვსკა-ლისკევიჩმა (პოლონეთი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02114